პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	04 01		1741,8
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სენაკის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.		
	სენაკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 27 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1380-ი აღზრდელი. ბავა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 204 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:		
	ბავა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის		
	№488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;		
	ბავა-ბაღებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;		
	ბავა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა როგორც ქალაქად ისე სოფლად.		
ბავა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;			
ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;			



	ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და შრომის ანაზღაურების ეტაპობრივი ზრდა.
მოსალოდნელი შედეგი	სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1380-ი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების დაფინანსება	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	04 02		248,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქალაქიდან სოფელში და სოფლიდან ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მასწავლებელთა სუბსიდირება. „ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლის შესაბამისად მოწონებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტებს შორის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებების დელეგირების თაობაზე გასაფორმებელი ტიპური ხელშეკრულება და შესაბამისად, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა. აგრეთვე, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით განისაზღვრა გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მასწავლებელთა და მოსწავლეთა კმაყოფილების დონის ამაღლება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ღონისძიებების პროგრამა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	04 04		49.8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა მოიცავს:</p> <p>ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების დაფინანსებას და თანადაფინანსებას; სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; საგანმანათლებლო ექსკურსიებში მონაწილეობას; სხვადასხვა გასართობი ღონისძიებების ბილეთების შეძენას; სახელოვნებო სფეროში მაღალი რანგის პროფესიონალი ხელოვანების მოწვევას და მასტერ კლასების ჩატარებას; კლასიკური და ხალხური მუსიკალური ფესტივალების გამართვას; სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას; საცნობარო ბუკლეტებისა და სიგელების დამზადებას;</p>		



მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების მიმართულებით აუცილებელია ხელი შევუწყოთ კულტურული ტრადიციების დაცვას და მის ღირსეულ გაგრძელებას. ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

ათას ლარში

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის დაზუსტებული გეგმა			2021 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1471,7	1732,9	115,7	1617,1	1779,7	129,2	1650,5
	ხარჯები	1312,6	1419,5	0,0	1419,5	1581,3	0,0	1581,3
	საქონელი და მომსახურება	40,1	50,4	0,0	50,4	119,2	0,0	119,2
	სუბსიდიები	1259,9	1357,0	0,0	1357,0	1450,0	0,0	1450,0
	სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სხვა ხარჯები	12,5	12,1	0,0	12,1	12,1	0,0	12,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	159,2	313,4	115,7	197,6	198,4	129,2	69,2
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	737,6	766,8	115,7	651,0	794,2	129,2	665,0
	ხარჯები	610,4	597,0	0,0	597,0	659,0	0,0	659,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	2,9	0,0	2,9	2,9	0,0	2,9
	სუბსიდიები	607,1	582,0	0,0	582,0	644,0	0,0	644,0



	სხვა ხარჯები	3,3	12,1	0,0	12,1	12,1	0,0	12,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	127,2	169,8	115,7	54,1	135,2	129,2	6,0
05 01 01	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	384,0	390,0	0,0	390,0	400,0	0,0	400,0
	ხარჯები	384,0	369,0	0,0	369,0	400,0	0,0	400,0
	სუბსიდიები	384,0	369,0		369,0	400,0		400,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	21,0	0,0	21,0	0,0	0,0	0,0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	224,5	219,0	0,0	219,0	250,0	0,0	250,0
	ხარჯები	223,1	213,0	0,0	213,0	250,0	0,0	250,0
	სუბსიდიები	223,1	213,0		213,0	250,0	0,0	250,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,3	6,1	0,0	6,1	6,0	0,0	6,0
05 01 03	სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა	129,1	15,0	0,0	15,0	15,0	0,0	15,0
	ხარჯები	3,3	15,0	0,0	15,0	15,0	0,0	15,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	2,9	0,0	2,9	2,9	0,0	2,9
	სხვა ხარჯები	3,3	12,1	0,0	12,1	12,1	0,0	12,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	125,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 01 04	სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	0,0	142,8	115,7	27,0	129,2	129,2	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	142,8	115,7	27,0	129,2	129,2	0,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	670,3	863,6	0,0	863,6	874,2	0,0	874,2
	ხარჯები	638,3	720,1	0,0	720,1	811,0	0,0	811,0
	საქონელი და მომსახურება	39,4	29,0	0,0	29,0	90,0	0,0	90,0
	სუბსიდიები	590,8	691,1	0,0	691,1	721,0	0,0	721,0



	სხვა ხარჯები	8,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	32,0	143,5	0,0	143,5	63,2	0,0	63,2
05 02 01	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	427,7	490,8	0,0	490,8	519,2	0,0	519,2
	ხარჯები	405,9	475,6	0,0	475,6	506,0	0,0	506,0
	სუბსიდიები	403,0	475,6		475,6	506,0		506,0
	სხვა ხარჯები	2,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	21,8	15,2	0,0	15,2	13,2	0,0	13,2
05 02 02	ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამაში	198,0	215,5	0,0	215,5	215,0	0,0	215,0
	ხარჯები	187,8	215,5	0,0	215,5	215,0	0,0	215,0
	სუბსიდიები	187,8	215,5		215,5	215,0		215,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების პროგრამა	44,6	29,0	0,0	29,0	90,0	0,0	90,0
	ხარჯები	44,6	29,0	0,0	29,0	90,0	0,0	90,0
	საქონელი და მომსახურება	39,4	29,0	0,0	29,0	90,0	0,0	90,0
	სხვა ხარჯები	5,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 05	კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	0,0	128,3	0,0	128,3	50,0	0,0	50,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 03	ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა	1,8	18,5	0,0	18,5	26,3	0,0	26,3
	ხარჯები	1,8	18,5	0,0	18,5	26,3	0,0	26,3
	საქონელი და მომსახურება	0,8	18,5	0,0	18,5	26,3	0,0	26,3
	სხვა ხარჯები	1,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



05 05	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	30,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0
	ხარჯები	30,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0
	სუბსიდიები	30,0	50,0		50,0	50,0		50,0
05 06	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	32,0	34,0	0,0	34,0	35,0	0,0	35,0
	ხარჯები	32,0	34,0	0,0	34,0	35,0	0,0	35,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 01		400,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტის საყოველთაოების ა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა:</p> <p>სპორტული ტარადიციების დაცვა, გადრმავება, სპორტის განვითარება:</p> <p>სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერია</p> <p>ლური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება ახორციელებს სწავლებებს შემდეგი მიმართულებით: ბერძნულ რომაული ჭიდაობა, კრივი, რაგბი, ჭადრაკი, კარატე-დო, კალათბურთი, მიუდო. ტაეკვანდო, ხელბურთი, ფრენბურთი, მკლავჭიდი და სხვა. სასპორტო გაერთიანებაში ფუნქციონირებს სულ სპორტის 11 სახეობის 46 ჯგუფი 24 მწვრთნელის მემკვიდრით, სადაც ირიცხება 467 მოზარდი, ასევე გაერთიანებაში აღრიცხულია 18 წელს ზემოთ მოქმედი 17 სპორტსმენი. სასპორტო გაერთიანება გეგმავს და ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს როგორც სამოყვარულო ასევე პროფესიული სპორტის მიმართულებით ყველა ასაკობრივ ჯგუფში. სასპორტო გაერთიანება წარმატებულ სპორტსმენებს წახალისების მიზნით აჯილდოვებს (დაკავებული ადგილების) შესაბამისად ფულადი ჯილდოთი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ღონისძიებათა პროგრამა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 02		250,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა).ი.პ. სენაკის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო კლუბი“.		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ბავშვთა ჯანდაცვის საფეხურით გუნდებისა და მოთამაშეების ოსტატობის დონის ამაღლება, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის პერსპექტიული მოთამაშეების შერჩევა. გათამაშების მიხედვით გამარჯვებული გუნდების გამოვლენა.
მოსალოდნელი შედეგი	საფეხურით კლუბის ფეხბურთელთა გუნდი ეგრისისა და ასაკობრივი ჯგუფების მიერ სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის შედეგად დაკავებული ადგილები. საანგარიშო პერიოდში ბავშვთა დაინტერესება და ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში ფეხბურთის განვითარებისათვის.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 03		15,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე მოყვარული სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი ჯილდოებითა და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>საანგარიშო წლის მანძილზე წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების წახალისება ერთჯერადი ფულადი ჯილდოებით;</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება;</p> <p>პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, მოყვარულთა ფეხბურთის ლიგისა და ევროპის სპორტული კვირეულის სენაკის მუნიციპალური თამაშების ჩატარება-ორგანიზება და გამარჯვებულებისათვის რეგიონალურ და ზონალურ ეტაპებზე ტრანსპორტირებაში და ფორმებით უზრუნველყოფაში ხელშეწყობა.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოება</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მონაწილეთა ჩართულობის მზარდი მაჩვენებელი, ჯანსაღი ცხოვრების წესის კიდევ უფრო პოპულარიზაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	2020 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 04		ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელდება: ჭავჭავაძის №35 კორპუსის მიმდებარედ და რუსთაველის №126 კორპუსის მიმდებარედ მინის პორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები; სპორტსკოლის იატაკის რეაბილიტაცია და სადრენაჟო სისტემის მოწყობის სამუშაოები		
მოსალოდნელი შედეგი	კმაყოფილი მოსახლეობა		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 01 01		519,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ძირითადი მიზანია სენაკისა და მისი თემების მაცხოვრებელი მოსწავლე-ახალგაზრდობის ესთეტიკურ-შემეცნებითი აღზრდა, კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, მათი შემოქმედებითი ცხოვრების გამრავალფეროვნება.</p> <p>მოსწავლე-ახალგაზრდობისა და ზოგადად მოსახლეობის კულტურული განვითარებისათვის ფუნქციონირებენ სხვადასხვა ანსანბლები(ხალხური ცეკვების, ხალხური და საესტრადო სიმღერების), ფუნქციონირებს ცენტრის ახალგაზრდული თეატრი „ფიროსმანი“რომელიც ხშირად გასვლით სანახაობებს აწყობს თბილისსა და რეგიონებში და მყურებლის მხრიდან დიდი მოწონებით სარგებლობს. ცენტრში ფუნქციონირებს საესტრადო საკრავების, კომპიუტერული სწავლების, მხატვრული კითხვის წრეები, აგრეთვე ფუნქციონირებს ეკოლოგიისა და ეკოტურიზმის სექცია „მწვანე ერთობა“ და სხვა</p> <p>ცენტრში არსებული სექციებისა და წრეების, ახალგაზრდული თეატრი- „ფიროსმანის“ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა მათი მუნიციპალურ, რეგიონალურ და რესპუბლიკურ დონისძიებებში მონაწილეობის მიზნით(გასვლითი კონცერტების, გასვლითი სპექტაკლების მოწყობა, მათი ფესტივალებში მონაწილეობა) და სხვა შიდა დონისძიებების ჩატარება სენაკისა და მისი თემების მოსახლეობის კულტურულ -ესთეტიკური დონის ამაღლების მიზნით.</p> <p>ცენტრში ფუნქციონირებს სულ 15 ბიბლიოთეკა. აქედან 1 საჯარო,14 კი განთავსებულია სენაკის სხვადასხვა სოფლებში. 2018 წლის აღწერა-ინვენტარიზაციის მიხედვით სულ წიგნადი ფონდის რაოდენობა შეადგენდა 153473 ცალ წიგნს. ფონდის ღირებულება კი -344668,98 ლარს.2019 წელს შეძენილ იქნა4349 ლარის ღირებულების წიგნი. სულ დღეის მდგომარეობით წიგნადი ფონდის ღირებულება შეადგენს 349017,98 ლარს. სულ ბიბლიოთეკებში 2019 წელს ვიზიტორთა რაოდენობა შეადგენდა 3550 ვიზიტორს .არსებული ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოძველებულია, რაც გარკვეულწილად აფერხებს ვიზიტორთა მხარდ შემოდინებას .ბიბლიოთეკები მეტ-ნაკლებად საჭიროებენ ტექნიკური აღჭურვილობის განახლებას, სამკითხველო დარბაზების გარემონტებას, განსაკუთრებით სოფლებში. მზარდი ახალი ტექნოლოგიების შესაბამისად, მიზანშეწონილია ელექტრონული ბიბლიოთეკის დანერგვა. საჭიროება მოითხოვს მოსახლეობაში ჩავატაროთ პროპაგანდა ზემოთ აღნიშნული სერვისით მათ დაინტერესებაზე, რათა მივაღწიოთ მთავარ მიზანს:-„მკითხველის დაინტერესება და ცნობიერების ამაღლება“</p> <p>ცენტრის შემავალ ორგანიზაციებში ფუნქციონირებს 4 მუზეუმი: 2 ქალაქად, 2 სოფლებში. მუზეუმების ფონდების მოცულობა შეადგენს სულ 7398 ექსპონატს. სტატისტიკური მონაცემებით მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა(2019წ) შეადგენს 3118 ვიზიტორს.ექსკურსიების რიცხვი უდრის 103-ს,გამოფენების რიცხვი კი-10-ს. მუზეუმებიც საჭიროებენ მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის განახლებას თანამედროვე სტანდარტების დონეზე, ინტერიერის განახლებას, რაც ასე მნიშვნელოვანია სტუმრების მიღების შემთხვევაში.</p> <p>მიზანშეწონილია გადამზადდნენ მუზეუმის თანამშრომლები,აგრეთვე ჩატარდეს მოსახლეობაში პროპაგანდა ახალი სერვისების დანერგვის სიკეთეზე,მოვიზიდოთ ტურისტები და ავამაღლოთ მოსახლეობის ცნობიერების დონე.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>სრულად სენაკისა და მისი თემების მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა, ჯანსაღი მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა სულიერად და ფიზიკურად.</p> <p>ცენტრის ორგანიზაციების სრული დატვირთვითი ფუნქციონირება და ამით მოსახლეობის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	„ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამა“	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 02 02		215,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“		



პროგრამის მიზანია სენაკის მუნიციპალიტეტში სამუსიკო და საბალეტო ხელოვნების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანმანათლებლო მიმართულებებზე ახალი თაობის თანაბარი ხემისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სახელოვნებო-საგანმანათლებლო სფეროში ინოვაციური მიდგომის შემუშავება და ინიციატივების/პროექტების განხორციელება.

სენაკის მუნიციპალიტეტში ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების დარგების პოპულარიზაციისათვის შექმნილია ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“, რომელიც ახორციელებს სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროგრამებს.

ცენტრში ფუნქციონირებს ადმინისტრაცია და პედაგოგიური საბჭო. ცენტრი საკუთარი საქმიანობის შემუშავებისას, დაგეგმასა და მისი რეალიზაციის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საკუთარს წესდების, საქართველოს კულტურის განვითარების გრძელვადიანი „კულტურის ტრაგედია 2025“ და ხელოვნების სფეროში მომქმედი რეკომენდაციების და სხვა სამართლებრივი ნორმატივების თანახმად. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების დორექციებთან და მოსწავლეებთან, მომიჯნავე სფეროების საჯარო და კერძო ოპერატორებთან. ცენტრი რეგულარულად ატარებს სხვადასხვა ხასიათის სახელოვნებო-საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიებებს, მონაწილეობს ადგილობრივ, რეგიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებსა და ფესტივალებში. ცენტრში შემაჯავალი სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში იმართება გამოსაშვები და გადასაყვანი გამოცდები. სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ცენტრის სუბსიდიური დაფინანსება.

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სისტემაში ფუნქციონირებს სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, სცენური ხელოვნების სახეობის-ბალეტის ჯგუფი.

სამხატვრო და სამუსიკო სკოლებში მიმდინარეობს სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაცია. მოსწავლეთა მუსიკალური, სამხატვრო და საბალეტო აღზრდის მიზანია მოსწავლის სულიერი კულტურის ფორმირება. ბავშვებში მუსიკის, მხატვრობისა და ქორეოგრაფიისადმი სიყვარულისა დაინტერესის გაღვივება. პროგრამები გულისხმობს მჭიდრო ურთიერთკავშირს. ყოველი პროგრამა მოსწავლეს უვითარებს უნარ-ჩვევას როგორც ინდივიდუალურად ასევე კოლექტიურად. სწავლების პროცესში მოსწავლეს არ მოეთხოვება მაღალმხატვრული ღირებულების ხელოვნების ნამუშევრების შესრულება და შექმნა, რადგანაც ამ ფარგლებში განათლება დაწყებულია.

სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო) განყოფილება, საგუნდო სიმღერის სპეციალობა-სწავლის ხანგრძლივობა 7 წელი, საესტრადო განყოფილება, გიტარისა და ხალხური საკრავთა ჯგუფებში სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია. ბავშვთა რაოდენობა სკოლაში შეადგენს 200 აღსაზრდელს. მშობელთა მონაწილეობის ღირებულება წელიწადში შეადგენს:

საესტრადო განყოფილება-230 ლარი;

ფორტეპიანო-250 ლარი;

ვიოლინო-200 ლარი;

საგუნდო-250 ლარი;

კლასიკური გიტარა - 250 ლარი;

ხალხური საკრავი: ფანდური-200 ლარი;

სამხატვრო სკოლაში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 50 ბავშვს. მშობელთა მონაწილეობის ღირებულება წელიწადში 100 ლარია. ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, გრაფიკას, მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიას, ხატწერა, ძეგლწერას, კომპოზიციას. სკოლაში ეწყობა შიდა და საკლასო გამოვენები, ხოლო სემესტრის ბოლოს საერთო სასკოლო გამოვენა. გამოვენებში ვლინდებიან საუკეთესო ნიჭის მქონე მოსწავლეები. ხდება წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოვება. სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსამზადებელი ჯგუფი, სადაც სწავლის კურსის ღირებულება შეადგენს 150 ლარს.

საბალეტო ჯგუფში, საბალეტო ცეკვის ძირითადი სახეობებს: კლასიკურს და სახასიათო საცეკვაო-მუსიკალური ფორმებს ეუფლება 15 მოსწავლე. მშობელთა მონაწილეობის ღირებულება წელიწადში შეადგენს 250 ლარს.

პროგრამა „ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია“, გულისხმობს და ითვალისწინებს ახალი თაობისათვის და დაინტერესებული პირებისთვის სახელოვნებო განათლების მიღების შესაძლებლობას, ხელოვნების დარგების პოპულარიზაციას, დამატებითი ბენეფიციარების მოზიდვას და საგანმანათლებლო პროგრამებში მათ ჩართვას, ინტეგრირებულ სწავლების მეთოდის გამოყენებას. საგანგებო სუტაუციებისას შესაბამისი რეაგირებას და დისტანციური სწავლების პლატფორმების შექმნას და პრაქტიკაში დანერგვას.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი



მოსალოდნელი შედეგი	<p>1. გამართულად ფუნქციონირებს სახელოვნებო-საგანმანათლებლო სკოლები და ჯგუფები;</p> <p>2. ორგანიზებულია ხელოვნების დარგების მოთხოვნადი მიმართულებების ონლაინ სწავლება;</p> <p>მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნება და ზრდა;</p>
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების პროგრამა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 02 04		90,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-პოპულარიზაციის, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას;</p> <p>კულტურული პროექტების თანადაფინანსებას;</p> <p>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას და შენარჩუნებას;</p> <p>კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, აღდგენა, განვითარება და პოპულარიზაცია;</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 02 04		50,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს კულტურის ობიექტების რეაბილიტაციას		
მოსალოდნელი შედეგი	კმაყოფილი მოსახლეობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 03		26,3



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <p>ტრენინგები ახალგაზრდებისათვის, საჯარო ლექციები, წიგნის მოყვარულთა კლუბის ჩამოყალიბება, ფილმების სპორტული ღონისძიებებისა და დოკუმენტური ფილმების ჩვენების ორგანიზება ღია ცის ქვეშ, დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, ექსკურსიების ორგანიზება, სხვადასხვა კონკურსების ორგანიზება, შშმ ახალგაზრდების ჩართულობის ორგანიზება სხვადასხვა ღონისძიებებში, ახალგაზრდული იდეების დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სენაკის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებისათვის მოტივაციის ამაღლება, მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან, შშმ ახალგაზრდების ჩართულობა, წახალისებული ახალგაზრდების, შემეცნებით ხონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 05		50,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის განვითარებისათვის ხელშეწყობა		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის სულიერების ამაღლება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	05 06		35
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	შპს საინფორმაციო ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მასობრივი საინფორმაციო გაზეთის „კოლხეთის“, გამოცემა, საგამომცემლო საქმიანობის წარმოება-თვეში ორჯერ, წლის მანძილზე 24 ნომერი. მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი მოვლენების, პროექტების, ინფორმაციული უზრუნველყოფა, საჯარო და კერძო სექტორის, მიმდინარე პროცესების აღწერა, დაფიქსირება, მკითხველთა აზრის გათვალისწინება, მათი ცართულობა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გაკეთებული თუ გასაკეთებელი საქმეების, მნიშვნელოვანი პროექტების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის, განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების გასაჯაროებით მკითხველთა ცნობიერების ამაღლება და ა.შ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა		



მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ათას ლარში

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი სულ	2020 წლის დაზუსტებული გეგმა			2021 წლის პროგნოზი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	922.5	1138.4	0.0	1138.4	1181.0	0.0	1181.0
	ხარჯები	918.2	1138.4	0.0	1138.4	1181.0	0.0	1181.0
	სუბსიდიები	326.3	425.4	0.0	425.4	457.2	0.0	457.2
	სოციალური უზრუნველყოფა	536.5	650.0	0.0	650.0	680.3	0.0	680.3
	სხვა ხარჯები	55.4	63.0	0.0	63.0	43.5	0.0	43.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	469.2	577.4	0.0	577.4	578.1	0.0	578.1
	ხარჯები	464.9	577.4	0.0	577.4	578.1	0.0	578.1
	სუბსიდიები	153.4	169.9	0.0	169.9	199.7	0.0	199.7
	სოციალური უზრუნველყოფა	308.5	407.5	0.0	407.5	374.9	0.0	374.9
	სხვა ხარჯები	3.0	0.0	0.0	0.0	3.5	0.0	3.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	157.7	169.9	0.0	169.9	199.7	0.0	199.7
	ხარჯები	153.4	169.9	0.0	169.9	199.7	0.0	199.7
	სუბსიდიები	153.4	169.9		169.9	199.7		199.7



	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 01 02	ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა	308.5	362.5	0.0	362.5	334,9	0.0	334,9
	ხარჯები	308.5	362.5	0.0	362.5	334,9	0.0	334,9
	სოციალური უზრუნველყოფა	308.5	362.5	0.0	362.5	334,9	0.0	334,9
06 01 03	მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება	0.0	45.0	0.0	45.0	40.0	0.0	40.0
	ხარჯები	0.0	45.0	0.0	45.0	40.0	0.0	40.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	45.0	0.0	45.0	40.0	0.0	40.0
06 01 04	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	3.0	0.0	0.0	0.0	3.5	0.0	3.5
	ხარჯები	3.0	0.0	0.0	0.0	3.5	0.0	3.5
	სხვა ხარჯები	3.0	0.0	0.0	0.0	3.5	0.0	3.5
06 02	სოციალური დაცვა	453.3	561.0	0.0	561.0	602.9	0.0	602.9
	ხარჯები	453.3	561.0	0.0	561.0	602.9	0.0	602.9
	სუბსიდიები	172.9	255.5	0.0	255.5	262.6	0.0	262.6
	სოციალური უზრუნველყოფა	228.0	242.5	0.0	242.5	300.3	0.0	300.3
	სხვა ხარჯები	52.4	63.0	0.0	63.0	40.0	0.0	40.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 01	მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა	181.4	216.0	0.0	216.0	228.0	0.0	228.0
	ხარჯები	181.4	216.0	0.0	216.0	228.0	0.0	228.0
	სუბსიდიები	172.9	216.0		216.0	228.0		228.0
	სხვა ხარჯები	8.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 02	მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა	35.6	53.4	0.0	53.4	110.0	0.0	110.0
	ხარჯები	35.6	53.4	0.0	53.4	110.0	0.0	110.0
	სოციალური უზრუნველყოფა	35.6	53.4	0.0	53.4	110.0	0.0	110.0
06 02 03	ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა	11.6	18.4	0.0	18.4	26.0	0.0	26.0



	ხარჯები	11.6	18.4	0.0	18.4	26.0	0.0	26.0
	სოციალური უზრუნველყოფა	11.6	18.4	0.0	18.4	26.0	0.0	26.0
06 02 04	კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება	12.4	13.0	0.0	13.0	18.7	0.0	18.7
	ხარჯები	12.4	13.0	0.0	13.0	18.7	0.0	18.7
	სოციალური უზრუნველყოფა	12.4	13.0	0.0	13.0	18.7	0.0	18.7
06 02 05	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	13.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	13.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	13.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 06	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	26.0	57.0	0.0	57.0	34.0	0.0	34.0
	ხარჯები	26.0	57.0	0.0	57.0	34.0	0.0	34.0
	სხვა ხარჯები	26.0	57.0	0.0	57.0	34.0	0.0	34.0
06 02 07	სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების პროგრამა	14.9	15.0	0.0	15.0	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	14.9	15.0	0.0	15.0	20.0	0.0	20.0
	სოციალური უზრუნველყოფა	14.9	15.0	0.0	15.0	20.0	0.0	20.0
06 02 08	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა	22.9	29.4	0.0	29.4	80.0	0.0	80.0
	ხარჯები	22.9	29.4	0.0	29.4	80.0	0.0	80.0
	სოციალური უზრუნველყოფა	22.9	29.4	0.0	29.4	80.0	0.0	80.0
06 02 09	სოციალური ღონისძიებების პროგრამა	5.7	9.7	0.0	9.7	9.6	0.0	9.6
	ხარჯები	5.7	9.7	0.0	9.7	9.6	0.0	9.6
	სოციალური უზრუნველყოფა	5.7	9.7	0.0	9.7	9.6	0.0	9.6
06 02 10	თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა	34.3	28.0	0.0	28.0	36.0	0.0	36.0
	ხარჯები	34.3	28.0	0.0	28.0	36.0	0.0	36.0
	სოციალური უზრუნველყოფა	34.3	28.0	0.0	28.0	36.0	0.0	36.0
	სოციალურად დაუცველი							



06 02 11	ოჯახებისათვის სამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა	90.6	75.6	0.0	75.6	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	90.6	75.6	0.0	75.6	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	90.6	75.6	0.0	75.6	0.0	0.0	0.0
06 02 12	დღის ცენტრ აიპ „ლაზარე-2015“ თანადაფინანსება	4.0	6.0	0.0	6.0	6.0	0.0	6.0
	ხარჯები	4.0	6.0	0.0	6.0	6.0	0.0	6.0
	სხვა ხარჯები	4.0	6.0	0.0	6.0	6.0	0.0	6.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 13	პროექტი „საქმიანობათა ცენტრი სენაკში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის“ თანადაფინანსება	0.0	24.5	0.0	24.5	29.6	0.0	29.6
	ხარჯები	0.0	24.5	0.0	24.5	29.6	0.0	29.6
	სუბსიდიები	0.0	24.5		24.5	29.6		29.6
06 02 14	პროექტი „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“ თანადაფინანსება	0.0	15.0	0.0	15.0	0.0		
	ხარჯები	0.0	15.0	0.0	15.0	0.0		
	სუბსიდიები	0.0	15.0		15.0	0.0		
06 02 15	პროექტი „შშმ პირთა საოჯახო ტიპის საცხოვრისი“ თანადაფინანსება	0.0	0.0	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
	სუბსიდიები	0.0	0.0		0.0	5.0		5.0

ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- ეპიდზედამხედველობის პროგრამას, რომელიც მოიცავს გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლს; პირველადი ეპიდზედამხედველობის განხორციელებას; ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვას;
- იმუნიზაციის პროგრამას, რომელიც მოიცავს იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას და მასზე ანგარიშგებას დადგენილი წესის მიხედვით; იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება; იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინულ ანალიზს, შეფასებას, დაზუსტებას; ვაქცინების, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრას; ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის ლოჯისტიკაზე ზედამხედველობას; დამხმარე ზედამხედველობის განხორციელებას მუნიციპალიტეტში შიდაჯალ პჯდ დაწესებულებებში.



· პარაზიტოლოგიის პროგრამა, რომელიც მოიცავს პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგულ კვლევას; მალარიის სკრინინგულ კვლევას კერებში და კერის გარშემო; მალარიის დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკური მკურნალობას.

· პროფილაქტიკური მედიცინა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას; საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობას.

· ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვა“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით(SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში აქტიურად ხორციელდება ეპიდზედამხედველობა და კონტროლი თვითიზოლაციაში მყოფ პირებზე, ტარდება PCR (პისიარ) კვლევები.

პროგრამის დასახელება	კოდი 06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში) 199,7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:</p> <p>ა) საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;</p> <p>გ) საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებლებისათვის;</p> <p>ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;</p> <p>ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;</p> <p>თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან: 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) 2. იმუნიზაცია. 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p> <p>ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვა“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით(SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში აქტიურად ხორციელდება ეპიდზედამხედველობა და კონტროლი თვითიზოლაციაში მყოფ პირებზე, ტარდება PCR (პისიარ) კვლევები.</p>		



პროგრამის მიზანი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობაგაურესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსება და თანადაფინანსება	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	06 01 02		334.9

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური
---------------------------------------	--

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ჯანმრთელობაგაურესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. დახმარებით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები წელიწადში ერთხელ, გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ონკოლოგიურ პაციენტებისა და 18 წლამდე მოზარდის შემთხვევაში.</p> <p>ა) სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის (გარდა ესთეტიკური ქირურგიის და კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის შემთხვევებისა) თანადაფინანსება ბენეფიციარებს, დახმარება გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არა უმეტეს 800 ლარისა.</p> <p>ბ) გადაუდებელი სტაციონალური მომსახურების შემთხვევაში, ბენეფიციარის სტაციონარიდან გამოწერამდე, მისი უფლებამოსილი პირი წარმოადგენს ბენეფიციარის პირადობის მოწმობას, მიმდინარე სამედიცინო ფორმა №100 და წინასწარ ანგარიშვაქტურას, სადაც განსაზღვრული იქნება ბენეფიციარის გადასახდელი თანხა. დახმარება გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არა უმეტეს 800 ლარისა.</p> <p>გ) სამკურნალო-სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა.</p> <p>დ) მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების შემთხვევაში (მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია; კომპიუტერული ტომოგრაფია; პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია თანადაფინანსება განხორციელდება მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებზე, 18 წლამდე მოზარდებზე და ონკოლოგიურ პაციენტებზე. მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა.</p> <p>დ) სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტის გადასახდელი თანხა აღემატება 200 ლარს.</p> <p>სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ მერიამი წარდგენილი უნდა იქნეს განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი; სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო დოკუმენტაცია - ფორმა №100; ანგარიშ-ვაქტურა; კალკულაცია; მომართვა ჯანდაცვის მომსახურების სააგენტოდან ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამიდან დაფინანსების ოდენობის შესახებ. (აუცილებლობას არ წარმოადგენს იმ შემთხვევაში, როდესაც სამედიცინო დაწესებულების მიერ ანგარიშ-ვაქტურაშივე განსაზღვრულია პაციენტის მიერ თანადაფინანსება თანხა). შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გამწევი დაწესებულებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ბენეფიციარზე წინასწარ გაიცემა წერილი დაფინანსების თაობაზე.</p> <p>გადაუდებელი სტაციონალური მომსახურების შემთხვევაში, ბენეფიციარის სტაციონარიდან გამოწერამდე, მისი უფლებამოსილი პირი წარმოადგენს ბენეფიციარის პირადობის მოწმობას, მიმდინარე სამედიცინო ფორმა №100 და წინასწარ ანგარიშვაქტურას, სადაც განსაზღვრული იქნება ბენეფიციარის გადასახდელი თანხა.</p> <p>ბენეფიციარის დაფინანსების შემთხვევაში მომსახურების გამწევი დაწესებულება წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც მერის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.</p>
----------------------------	--



მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების ქვეპროგრამა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	06 01 03		40,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების მედიკამენტებით უზრუნველყოფა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.</p> <p>ა) სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახზე მედიკამენტოზური მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში დაფინანსება განხორციელდება 70 ლარის ფარგლებში</p> <p>ბ) ონკოლოგიურ პაციენტთა ქიმიოთერაპიული და იმუნოთერაპიული მკურნალობისათვის, ასევე ექიმის დანიშნულებით მედიკამენტების თანადაფინანსება ბენეფიციარებს გაეწევათ გადასახდელი თანხის 50 %-ით, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა.</p> <p>გ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პაციენტთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება განხორციელდება 100 ლარის ფარგლებში.</p> <p>დ) შშმ პირებზე, რომელთა ოჯახები არ არიან რეგისტრირებული სოციალურად დაუცველ ოჯახთა მონაცემთა ერთიან ბაზაში, მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება განხორციელდება 100 ლარის ფარგლებში.</p> <p>დახმარების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; ანგარიშგაქტურა აფთიაქიდან; ფორმა №100 და სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ბენეფიციარზე წინასწარ გაიცემა წერილი დაფინანსების თაობაზე.</p> <p>ბენეფიციარის დაფინანსების შემთხვევაში შესაბამისი სააფთიაქო დაწესებულება წარმოადგენს მედიკამენტების ბენეფიციარზე გაცემის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რის შემდეგაც მერის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის საფუძველზე განხორციელდება თანხის გადარიცხვა შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა მედიკამენტებით მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	06 01 04		3,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
	პროგრამა ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების		



პროგრამის აღწერა და მიზანი	მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების (ჰიპერაქტივობისა და ჰიპერკინეზების სინდრომი, თვალის პათოლოგია და სქოლიოზი) ამ პათოლოგიების დროული მკურნალობისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის დაწყებითი კლასების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია 990 მოზარდისათვის ხელმისაწვდომობა აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების პრევენციაზე. ჯანმრთელი მოზარდები

სოციალური დაცვა

